



AGIC

ტურისტული სააგენტოების ინდუსტრიის კვლევა საქართველოში

*მომზადებულია 2019-2020 წლის მონაცემებზე
დაყრდნობით*





შინაარსი

გვერდი 3 - მეთოდოლოგია

გვერდი 4 - კვლევის შედეგები

გვერდი 6 - ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

გვერდი 10 - ძირითადი მოთამაშეები

გვერდი 11 - ფინანსური კოეფიციენტები



კვლევის მიზანი

მოცემული კვლევა ემსახურება ტურისტული სააგენტოების ინდუსტრიის მიმოხილვას, არსებული ტენდენციების გამოვლენას, პირველი, მეორე და მესამე ბოძითი კატეგორიის დაწესებულებების 2019 და 2020 წლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

რეპორტში წარმოდგენილია დარგის საშუალო ფინანსური მაჩვენებლები, რომელიც აყალიბებს დარგის "ბენჩმარკს" და იძლევა ინფორმაციას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.



მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული მონაცემები აღებულია ანგარიშგების პორტალის ვებგვერდიდან, სადაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება.

მოცემული ტურისტული სააგენტოები ეკუთვნის, მესამე ზომით კატეგორიას.

აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა 2019 და 2020 წლის მონაცემებს, კვლევაში განხილული იქნება ტურისტული სააგენტოები, რომელთა რაოდენობაც ჯამურად შეადგენს 29-ს (2019 წლის მონაცემებით).

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ტურისტული სააგენტოების მიმოხილვაზე, კონკრეტულად კი მათ რაოდენობაზე, ფინანსურ მაჩვენებლებზე, მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან და ანგარიშგების პორტალიდან.






კვლევის შედეგები

კვლევა მიმოიხილავს ტურისტულ სააგენტოებს, რომელთა ჯამური ბრუნვა 2019 წელს აღემატება 219 მილიონ ლარს, აქტივების ჯამი 68 მილიონ ლარს.



მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში არსებულ ტურისტულ სააგენტოებს, გააჩნიათ შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები: მოგებამ აქტივებზე საშუალოდ შეადგინა (ROA) 37%, მოგებამ კაპიტალზე კი (ROE) 44%.

გარდა ამისა, დადგინდა ფინანსური კოეფიციენტები ინდუსტრიის საშუალო ლიკვიდურობის და გადახდის უნარიანობის შესახებ.






კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა ტურისტული სააგენტოების 2019-2020 წლის საშუალო მონაცემები. მოცემული 29 ტურისტული სააგენტოდან ყველა მიეკუთვნება მესამე კატეგორიას.


ათასი,ლარი

საშუალო რეალიზაცია




ათასი,ლარი

საშუალო მთლიანი აქტივები



ათასი,ლარი


საშუალო მოგება/ზარალი დაბეგვრამდე





ტურისტული სააგენტოების ინდუსტრიის მიმოხილვა

საქართველოში ტურისტული სააგენტოების რაოდენობამ 2022 წლისათვის 1196 ერთეული შეადგინა, რომელთა ძირითადი ნაწილი თავმოყრილია თბილისში. 2020 წლიდან საგრძნობლად შემცირდა განვითარების ტემპი ტურისტული სააგენტოების მიმართულებით, ისევე როგორც სხვა დანარჩენ ინდუსტრიებში, რაც არსებულმა პანდემიურმა სიტუაციამ განაპირობა. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის ეკონომიკის საკამოდ დიდი ნაწილი ტურიზმს ეკავა, მოსალოდნელი იყო დღევანდელი შედეგები. თუმცადა, შესაძლებელია, რომ კრიზისული სიტუაციის დაძლევის შემდგომ საქართველოში ტურისტული სააგენტოების ინდუსტრიამ კვლავ განაგრძოს ზრდა, ტურიზმის ძველ ნიშნულებთან დაბრუნების პარალელურად. ტურისტული სააგენტოების ბრუნვის მოცულობა იზრდებოდა წლიდან წლამდე, ხოლო 2020 წელს საგრძნობლად შემცირდა. მნიშვნელოვანია ეტაპობრივად, ტურისტულმა სააგენტოებმა განახორციელონ ცვლილებები და დანერგონ შესაბამისი სტანდარტები, რაც შეესაბამება როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში არსებულ მოთხოვნებს, რათა დარგი გახდეს კიდევ უფრო მიმზიდველი, რისი საჭიროებაც არსებობს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2022 წელს ტურისტული სააგენტოების გადანაწილება რეგიონების მიხედვით ასე გამოიყურება:



წყარო:geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს 2022 წელს ტურისტული სააგენტოების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია თბილისში - 859 ერთეული, შემდეგ მოდის აჭარა - 90 ერთეული, ხოლო მესამე ადგილზეა იმერეთი- 68 ერთეული.


ტურისტული სააგენტოების ინდუსტრიის მიმოხილვა



საქართველოში ტურისტული სააგენტოების, ტურ-ოპერატორების და სხვა დაჯავშნის მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობა (საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები), ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემდეგია:

მილიონი ლარი

ტურისტული სააგენტოების, ტურ-ოპერატორების და სხვა დაჯავშნის მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობა




წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2019 წლის ჩათვლით ტურისტული სააგენტოების ბრუნვის მოცულობა სტაბილურად მზარდია, ხოლო 2020 წელს ნიშნული შემცირდა 74%-ით. რაც შეეხება ტურისტულ სააგენტოებში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობას, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემდეგია:

კაცი

ტურისტული სააგენტოების, ტურ-ოპერატორების და სხვა დაჯავშნის მომსახურების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ტურისტულ სააგენტოებში დასაქმებულთა მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2019 წელს, ხოლო მინიმალური 2020 წელს.




ტურისტული სააგენტოების ინდუსტრიის მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ ტურისტული პაკეტის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ტურისტული სააგენტოების ტიპების მიხედვით, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, შემდეგია:

ათასი

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ ტურისტული პაკეტის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ტურისტული სააგენტოების ტიპების მიხედვით



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ ტურისტული პაკეტის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ტურისტული სააგენტოების ტიპების მიხედვით ლიდერობს სხვა (არაქართული) ტურისტული სააგენტო/ტურ-ოპერატორი. აღნიშნული მაჩვენებელი სტაბილურად მზარდი იყო და 2019 წელს დაფიქსირდა 33 ათასი, რაც 30,1 ათასით მეტია ქართული ტურისტული სააგენტო/ტურ-ოპერატორის მიერ მომსახურებულ ტურისტებზე.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ ტურისტული პაკეტის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა, ქართული ტურისტული სააგენტო/ტურ-ოპერატორის მიხედვით სტაბილურად კლებადია, აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს, მომსახურების ხარისხი, შეთავაზებული სერვისების არასტაბილურობა და ა.შ.




ტურისტული სააგენტოების ინდუსტრიის მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, ტურისტული სააგენტოების რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით, ასე გამოიყურება:

ერთეული

ტურისტული სააგენტოების რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით




წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, საქართველოში ტურისტული სააგენტოების ძირითადი ნაწილი არის შპს- 848 ერთეული, ხოლო 329 ერთეული ი.მ. რაც შეეხება ტურისტული სააგენტოების რაოდენობის გადანაწილებას საკუთრების ფორმის მიხედვით, ასეთია:

ერთეული

ტურისტული სააგენტოების რაოდენობა საკუთრების ფორმის მიხედვით



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, საქართველოში ტურისტული სააგენტოების ძირითადი ნაწილი არის კერძო ადგილობრივი საკუთრება - 999 ერთეული, ხოლო 141 ერთეული არის კერძო უცხოური საკუთრება.




ბაზრის ძირითადი მოთამაშეები (2019-2020 წ)

აღნიშნული კომპანიების ჯამური შემოსავალი წარმოადგენს კველვაში წარმოდგენილი ტურისტული სააგენტოების მთლიანი შემოსავლების 48%-ს 2019 წლის. 2020 წლის მონაცემები მკვეთრად ჩამორჩება 2019 წლის მაჩვენებლებს ტოპ 5 კომპანიების მიხედვით როგორც შემოსავლების, ასევე მოგებისა და აქტივების სიდიდის მიხედვით.


ათასი, ლარი

ტოპ 5 კომპანია შემოსავლების მიხედვით (2019)




ათასი, ლარი

ტოპ 5 კომპანია შემოსავლების მიხედვით (2020)




ტოპ 5 ტურისტული სააგენტო აქტივების მიხედვით, (2019წ)

ათასი, ლარი




ტოპ 5 ტურისტული სააგენტო აქტივების მიხედვით, (2020წ)

ათასი, ლარი




მოგება დაბეგვრამდე, ტოპ 5 ტურისტული სააგენტო კომპანია (2019წ)

ათასი, ლარი



მოგება დაბეგვრამდე, ტოპ 5 ტურისტული სააგენტო კომპანია (2020წ)

ათასი, ლარი






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები (2019 წ.)


ლიკვიდურობის კოეფიციენტები

კვლევის შედეგად გამოვლინდა ტურისტული სააგენტოების ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტებმა შეადგინა 5.16 და 3.76, როდესაც ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ინდიკატორი ითვლება დამაკმაყოფილებლად.



მომგებიანობის კოეფიციენტები

საქართველოში მოქმედი ტურისტული სააგენტოების მომგებიანობის კოეფიციენტებმა შეადგინა შემდეგი: წლიური მოგება აქტივებზე მწარმოებელთათვის შეადგენს (ROA) 37%-ს, ხოლო მოგება კაპიტალზე ROE შეადგენს 44%-ს,






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები(2019წ.)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები

ვალდებულებები შეფარდებული აქტივებთან კოეფიციენტი გვიჩვენებს, მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებას. ტურისტული სააგენტოებისათვის ეს მაჩვენებელი უტოლდება 0.31-ს, ასევე აღსანიშნავია ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 0.92-ს, რაც მიუთითებს თუ რამდენად აღემატება ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებს.


გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი ტურისტული სააგენტოებისთვის 2019



ეფექტურობის კოეფიციენტები

აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი ტურისტული სააგენტოების შემთხვევაში უტოლდება მხოლოდ 0,65-ს, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო ეფექტურად ახერხებს კომპანია მისი აქტივების გამოყენებას გაყიდვების მოცულობასთან მიმართებაში, დებიტორული დავალიანების კოეფიციენტმა კი შეადგინა 27,95.

ეფექტურობის კოეფიციენტები ტურისტული სააგენტოებისთვის, 2019



AGIC

რეპორტი მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია AGIC-ის მიერ, რომელიც მოღვაწეობს 2007 წლიდან და უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას აუდიტის, საბუღალტრო, ბიზნეს საკონსულტაციო და მარკეტინგის მიმართულებით.

კომპანიის გუნდი შედგება 50-ზე მეტი მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლებისაგან, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან განვითარებასა და კლიენტების წარმატებაზე.

აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია "AGIC" არის "PrimeGlobal"-ის წევრი საქართველოში, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს გლობალური, კომპლექსური და სხვადასხვა სირთულის პროექტები პარტნიორებთან ერთად მსოფლიოს 105-ზე მეტ ქვეყანაში.



0171, პ. ქავთარაძე #10, I შესახვევი,
სართული 4 თბილისი, საქართველო



(995 322) 500 130



(995 599) 34 33 48



info@agic.ge

